ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **დავით ტაბატაძე**

თანამდებობის დასახელება - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე**

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03.12 -დან 2022 წლის 01.11 მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

   03.12.2021 წ. დან 01.11.2022წ.მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 14

2. **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:**

   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 6, ესწრებოდა -6 სხდომას;

   - საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - 10 - , ესწრებოდა -7 სხდომას;

მ/შ დროებითი კომისიები:

- **ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, სხდომების რაოდენობა - 4, სხდომებზე დასწრება - 4.**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია სხდომების რაოდენობა - 67, სხდომებზე დასწრება 3 (სატენდერო კომისია დატოვა 28.12.2021წ.)

3. **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3**

ფრაქციის სხდომებზე დასწრება -3

4. **საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები**

5. ინიციირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 დადგენილება, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 განკარგულება.:**

6. **საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის **დადგენილება #4;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ 2021 წლის 24 დეკემბრის **დადგენილება # 3;**
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის Nგ-13.13210851 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2021 წლის 24 დეკემბრის **განკარგულება N გ-13.13213584;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 2021 წლის 27 დეკემბრის **N გ-13.13213611 განკარგულება;**
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე 2021 წლის 28 დეკემბრის **N გ-13.13213621 განკარგულება;**
- გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ 2021 წლის 28 **დეკემბრის N გ.13-13213622 განკარგულება;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან წარმატებულის სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 20 იანვრის **დადგენილება # 6;**
- ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 25 თებერვლის **დადგენილება #8;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ 2022 წლის 28 აპრილის **დადგენილება #20;**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში-აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი, წინუბანი(აგარის), ანდა, ანდრიაწმინდა, წყორძა, თისელი, ტყემლანა, ანი, ელიაწმინდა, ჭვინთა, მინაძე, ღრელი, ჭაჭარაქი, საძელი, ხაკი, ზემო სხვილისი, სხვილისი, ივლიტა, მუსხი, ურაველი, ხეოთი, აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი(წყალთბილის), წყალთბილა, ჯულღა, მიქელწმინდა, წირა, წყრუთი - მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე **განკარგულება N :გ-13.13221514 :31/05/2022**

- ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის დასაწყისში არსებული გეოგრაფიული ობიექტისათვის-მოედნისათვის მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელის მინიჭების შესახებ 2022 წლის 14 ივლისის **N გ-13.13221958 განკარგულება;**
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე 2022 წლის 14 ივლისის **N გ-13.13221954 განკარგულება;**
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პეტიციის საკითხთან დაკავშირებით - ქალაქ ახალციხეში, იაძის ქ.#12-ში მდებარე #4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დემონტაჟის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების თაობაზე - **2022 სექტემბრის N 9 სხდომის ოქმის ჩანაწერი.**

7. **მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 6 -**

   მოსახლეობასთან შეხვედრები ღია დიალოგის ფარგლებში, ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე

   -მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა -70

   - შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 350

   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები - ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანდაცვის საკითხები და ა.შ

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქეებთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრობლემური საკითხები მიწოდებული იქნა მერიის შესაბამის სამსახურებთან, როგორც წერილობით ისე სიტყვიერად, ზემოთ აღნიშნული პრობლემური საკითხები გადაწყვეტილ იქნა დადებითად, აგრეთვე კონსულტაცია გაეწია მოქალაქეებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- **თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.**

- 09.03.2022წ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია. ასოციაციის ეროვნული ანსამბლეის მოწვევა;

- 07.03.2022წ. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი (United Nations Population Fund) - პროგრამა - „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული მავნე პრაქტიკების დასაძლევად სამხრეთ კავკასიაში“ (2021-2022)” შეხვედრა;
- 22.02.2022 წ. ქალაქ ახალციხის ცენტრალურ პარკში-მესხეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით შემეცნებით-გასართობი ტიპის ღონისძიება - იმუნიზაციისა და ვაქცინოლოგიის ასოციაციის და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებითა და USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტ „MEDიატორი;
- 21.03.2022წ. ევროპის საბჭოს ღონისძიება ,,სამოქალაქო მონაწილეობის პლატფორმები და პრაქტიკა ადგილობრივ დონეზე - შეხვედრა მიმდინარეობდა zoom -ის პლატფორმით;
- 3-5 მაისი 2022 წელი პოლიციის საზოგადოებრივი საქმინობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში არასრულწლოვნებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი თემისა და სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობის ხელშეწყობა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის პრინციპებისა და მიდგომების დანერგვა;
- ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობა;
- აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სარეაბილიტაციო ცენტრებშივიზიტი;
- 20 ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა;
- 29 აპრილი რაბათის ხელოვნური ტყის დასუფთავება,ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოხალისეების ჩართულობით მიმდინარეობდა;
- 29 აპრილი შეხვედრა ავსტრიის ელჩთან, ახალციხის ციხეზე საელჩოს ორგანიზებით გამოფენა გაიხსნა, რომელიც მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის, ბერტა ფონ ზუტნერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა;
- 26 მაისი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;
- 1 ივნისი მოყვარულთა თასი 2022“-ის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულებასტან დაკავშირებით გამარჯვებული გუნდებისათვის თასებისა და სიგელების გადაცემა;
- 2 ივნისი ქალაქ ახალციხეში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონახულება;

- 7 ივნისი სოფელ აწყურსა და თისელში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით მიმდინარე პროექტები მოინახულება;
- 9 ივნისი 9 აპრილის ქუჩა N15 და N25 საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების მონახულება;
- 21 ივნისი „ახალციხის ციხის" ციტადელზე საკონფერენციო დარბაზში ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში რაიონული კონფერენცია;
- 24 ივნისი ახალციხის მუნიციპალიტეტის ურაველის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულება;
- 16 სექტემბერი ახალციხის მუნიციპალიტეტი დასუფთავების კამპანიას - „დავასუფთაოთ მსოფლიო'' ახალციხის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა და სხვადასხვა ლოკაციებზე დასუფთავების აქცია გაიმართა ;
- 20სექტემბერი ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრა ;
- 30 სექტემბერი ახალციხის მიხეილ იაძის ცენტრალურ სტადიონზე, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის 2022-2023" გახსნა;
- 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სათნოების სახლში ვიზიტი, ბენეფიციარების მოინახულება და ხანდაზმულთა დღის მილოცვა;
- 5 ოქტომბერი მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა ახალციხის ციხეზე;
- 16 ოქტომბერი - კრივში, ლევან გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი რვა მუნიციპალიტეტის გუნდი მონაწილეობდა შეჯიბრი 11 სხვადასხვა წონით კატეგორიაში გაიმართა, გამარჯვებული სპორტსმენები მედლებით და სიგელებით დააჯილდოვდნენ;
- 23 ოქტომბერი ახალციხის ციხეზე „პურის ფესტივალი" გაიმართა, ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი აქტივობები ჩატარდა;
- 23 ოქტომბერი ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ორგანიზებით, მძლეოსნობაში "ახალციხის ღია პირველობაზე" საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ტურნირში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სპორტსმენები მონაწილეობდნენ;
- 26 ოქტომბერს თამარაშვილის ქუჩაზე (N 1 სამაჟორიტარო ოლქში) მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა;
- 28 ოქტომბერს, ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ, ბექა ჯაყელის სახელობის სკვერში მოსახლეობასთან გაიმართა შეხვედრა;

- 20 ოქტომბერი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „ კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი“-ის (REC) მიერ ორგანიზებულ პროექტის ფარგლებში შეხვედრა ქ.თბილისში;
- 31 ოქტომბერს, 12 საათზე კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი (KRDF), ფონდი ტასო და ქეა საერთაშორისო კავკასიაში (CARE) შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა გაიმართა.

შევსების თარიღი - 28.28.22 წ.

წარდგენის თარიღი 28.28.22 წ.

ხელის მოწერა----------